ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3349221

ნომერი: AR1515685

თარიღი : 19.06.2017

გაცემის თარიღი : 27.06.2017

გაცნობის თარიღი : 27.06.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ზურაბ პატარიძე , N 19 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე ფირფირაშვილი პ/ნ 01001089516
- თბილისი გლდანის ხევი კორ. 1ა ბ. 83

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულადატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის #168 დადგენილების თანახმად „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ ‘საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებაში (სსმ, 38, 27/03/2009) შეტანილ იქნა ცვლილება და ამოღებულ იქნა დადგენილების 65–ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი, რომელიც ეხება სახურავზე კეხის სიმაღლისა და ქანობის შეუცვლელად სამერცხლეს მოწყობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სამერცხლულის მოწყობა აღარ წარმოადგენს I კლასის ობიექტს, საჭიროა სამსახურის ელექტრონულ მისამართზე www.tas.ge-ზე აირჩიოთ შემდეგი სახის ნომენკლატურა, კერძოდ: საცხოვრებელი ობიექტები–>მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი–>ქმედებები – რეკონსტრუქცია; ქვექმედებები – რეკონსტრუქციის სხვა სახეობა და ატვირთოთ შესაბამისი დოკუმენტაცია.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.